ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 20

დაბა ხარაგაული

09 ნოემბერი 2020 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე- მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, რუსუდან გიორგაძე, ლენა აჩაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, ნიკოლოზ მაღრაძე, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, აკაკი მაჭავარიანი.

სულ 23 წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მარიამ შარიქაძე - ა.(ა)ი.პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი.

თეა ბერიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე 23,

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი მიღებულ იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს: პეტრე შარიქაძე

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ჯამბულ გამცემლიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სოფელ ლეღვანში, კერძოდ კიბაბოურის უბანში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებულია ხიდი, ხოლო ე. წ. ბუნგების უბანში საავტომობილო გზა. ასევე განაცხადა, რომ სოფელ დიდვაკესა და ლეღნის მონაკვეთზე, ორ ადგილზე საავტომობილო გზის გასწვრივ გასაკეთებელია გაბიონები, რომელთა გაკეთება წარმოადგენს აუცილებლობას. მისივე განცხადებით გზის გაკეთება აუცილებელია სოფელ ლეღვნის ე. წ. ქვიანთის უბანში.

პეტრე შარიქაძემ უპასუხა, რომ სტიქიით დაზიანებული ობიექტების აღსადგენად მუნიციპალიტეტში მთავრობიდან ელოდებიან შესაბამის თანხებს, პროექტები კი ხსენებულ ობიექტებზე გაკეთებულია. ხოლო ქვიანთის გზის რეაბილიტაცია გათვალისწინებულია საკრებულოში წარმოდგენილ 2021 წელს განსახორციელებელ საპროექტო წინადადებების ნუსხაში.

ვლადიმერ ტალახაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ რის გაკეთებას გეგმავენ წინა წელს მოწონებულ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც ჯერ კიდევ განუხორციელებელია.

პეტრე შარიქაძემ უპასუხა, რომ ყველა განუხორციელებელი პროექტი ერთი კვირის განმავლობაში გავიდოდა ტენდერზე.

ნიკოლოზ მაღრაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სოფელ მარელისში ე. წ. ბერეწმინდის უბანში გაკეთდეს საავტომობილო გზა, ვინაიდან მისი განმარტებით აღნიშნული გზა წარმოადგენს ალტერნატიული გზის ვარიანტს მარელისის, დიდვაკისა და ლეღვნის ხეობის მოსახლეობისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების მოწონების საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე- 23

წინააღმდეგი- 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭისყრის შედეგებზე დაკვირვებას ახდენდა საკრებულოს აპარატი.

ამით საკრებულოს დღის წესრიგით განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**